

# პირგასამტებლოს არსი ფუნქცია და დაკისრების საფუძველი

2021 წელი



**ავტორი**

**ქეთევან შენგელია**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების  
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

**2021 წელი**

## პირგასამტეხლოს არსი, ფუნქცია და დაკისრების საფუძველი

წინამდებარე კვლევაში თავმოყრილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და კეთლსინდისიერად შესრულების უზრუნველყოფაში. მისი გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას.<sup>1</sup> ამდენად, პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობაა ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი<sup>2</sup>.

ასეთ შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.<sup>3</sup>

პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება.<sup>4</sup>

„პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე.“<sup>5</sup> „საკასაციო სასამართლო მხარს უჭერს მიდგომას, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებული იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.“<sup>6</sup> საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გათვალისწინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს.

პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხზე მსჯელობისას სასამართლო ამოწმებს:

- კანონით დადგენილი წესით პირგასამტეხლოზე შეთანხმების არსებობას;
- თუ რომელი სახელშეკრულებო პირობაა პირგასამტეხლოთ უზრუნველყოფილი.

<sup>1</sup> სუსგ №ას-1451-1371-2017

<sup>2</sup> სუსგ №ას-1451-1371-2017

<sup>3</sup> სუსგ №ას-1158-1104-2014

<sup>4</sup> სუსგ №ას-1511-2018

<sup>5</sup> სუსგ №ას-931-871-2017

<sup>6</sup> სუსგ №ას-164-160-2016

*კანონით დადგენილი წესით პირგასამტეხლოზე შეთანხმების არსებობის  
აუცილებლობა*

პირგასამტეხლოზე შეთანხმების ნამდვილობისათვის კანონი იმპერატიულად წერილობითი ფორმის დაცვას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის უფლება, მხოლოდ ამ სავალდებულო ფორმის დაცულობის პირობებშია მართლზომიერი და დასაშვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი წინადადიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმება პირგასამტეხლოს თაობაზე უცილოდ ბათილია და იმავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე შეთანხმებულად არ მიიჩნევა. ერთ ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ, პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდა მხარეთა შორის კანონით გათვალისწინებული ფორმით (სსკ-ის 418.2 მუხლი) მასზე შეთანხმების არარსებობა.<sup>7</sup>

ანალოგიური საფუძველით საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა არა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, არამედ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, მხარეთა შორის ფაქტობრივად გაგრძელებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დარღვეული ვალდებულებისათვის.<sup>8</sup> კერძოდ, ხელშეკრულება შეეხებოდა ბუნებრივი გაზის ნასყიდობას: ურთიერთობის მარეგულირებელი სემეკის 09.07.2009 წლის N12 დადგენილება, რაიმე სავალდებულო ფორმას, ბუნებრივი გაზის ნასყიდობიდან გამომდინარე არ ითვალისწინებდა, რასაც ვერ ვიტყვით, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად პირგასამტეხლოს გათვალისწინებაზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ეს უკანასკნელი განეკუთვნება რა ფორმასავალდებულო გარიგებას, მისი ნამდვილობა ყოველთვის არაა დამოკიდებული ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობაზე (ფორმის თვალსაზრისით). შესაბამისად, პალატას მიიჩნია, რომ მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევა ვერ წარმოუშობდა გამყიდველს პირგასამტეხლოს დაკისრების უფლებას, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით მასზე შეთანხმების არარსებობის გამო.<sup>9</sup>

<sup>7</sup> სუსგ №ას-1468-1388-2017

<sup>8</sup> სუსგ №ას-341-322-2014

<sup>9</sup> იქვე;

## **პირგასამტეხლოთ უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო პირობის განსაზღვრა**

პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ სწორად და ზედმიწევნით უნდა შეამოწმოს მხარეთა სახელშეკრულებო პირობა.<sup>10</sup> კერძოდ, უნდა გამოივკლიოს თუ რომელი მოთხოვნაა პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი. მართალია, თავად სსკ-ის 417-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ პირგასამტეხლო შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის, ისე არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. თუმცა, ამ ინსტიტუტის სახელშეკრულებო ბუნებიდან გამომდინარე, ნორმის აღწერილობითი ნაწილი დისპოზიციურია, რაც გულისხმობს უზრუნველყოფილი მოთხოვნის სახეობის არჩევას მხარეთა ნების შესაბამისად. იმავე საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვიანიდან ხელშეკრულების თანახმად პირგასამტეხლო უზრუნველყოფდა მხოლოდ საქონლის მიწოდების ვადის დარღვევას და არ ფარავდა არაჯეროვანი შესრულებას, არ არსებობდა ამ უკანასკნელის დაკმაყოფილების წინაპირობა.<sup>11</sup>

## **შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სამართლებრივი რეგულირება**

სამოქალაქო უფლებების მართლზომიერად განხორციელების მიზნებისათვის, სსკ-ის 420-ე მუხლით, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს მინიჭებული აქვს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება.<sup>12</sup>

აღნიშნული მოწესრიგება გამოიყენება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით, რამეთუ ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.<sup>13</sup>

სასამართლო, პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის

<sup>10</sup> სუსგ №ას-1178-1098-2017

<sup>11</sup> იქვე

<sup>12</sup> სუსგ №ას-708-678-2016; ას-889-2019; ას-222-209-2015

<sup>13</sup> სუსგ №ას 862-828-2016; ას-810-758-2017; ას-1111-1031-2017;

შეფასებას ახორციელებს მხარეთა შეჯიბრებითობის ფარგლებში პირგასამტელოს შემცირების მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე.<sup>14</sup>

სასამართლო მხოლოდ კვალიფიციური შედავების არსებობის შემთხვევაშია უფლებამოსილი, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.<sup>15</sup> ამდენად, პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევას სასამართლო მოვალის შესაგებლის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს.

მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობა მხარეთა თავისუფალი შეთანხმების საგანს წარმოადგენს (სსკ-ის 418.1 მუხლი), თუმცა საკანონმდებლო დათქმა, რომ იგი შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, ვერ გახდება „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>16</sup> ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კანონით პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის მხარეთათვის მინდობა არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს,<sup>17</sup> რადგან პირგასამტეხლოს მიზანს კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა მისი გამდიდრება წარმოადგენს.<sup>18</sup>

**როგორც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება.<sup>19</sup>**

სსკ-ის 420-ე მუხლით სასამართლოსათვის მინიჭებული უფლება, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება.<sup>20</sup> სადავობისას, სასამართლო ვალდებულია ერთმანეთს შეუპირისპიროს კრედიტორისა და მოვალის ინტერესები იმდაგვარად, რომ სამართლიანად განსაზღვროს მათ შორის ბალანსი.<sup>21</sup>

<sup>14</sup> ქ. მესხიშვილი, „პირგასამტეხლო“ (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა)

<sup>15</sup> სუსგ №ას-951-2018

<sup>16</sup> სუსგ №ას-753-721-2016

<sup>17</sup> სუსგ №ას-459-438-2015

<sup>18</sup> სუსგ №ას-848-814-2016

<sup>19</sup> სუსგ №ას-684-655-2016

<sup>20</sup> სუსგ №ას-825-2019

<sup>21</sup> სუსგ №ას-753-721-2016

„შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით კრედიტორისთვის მიკუთვნებული თანხა არ უნდა იყოს სიმბოლური, არამედ მოვალეს, შეუსრულებელი ვალდებულების გამო, უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა რეალურად - ფინანსური სახით.<sup>22</sup>

ამდენად, სასამართლო თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აფასებს თუ რა შემთხვევაში მიიჩნევს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს.<sup>23</sup> ამის შემდეგ, სასამართლო განსაზღვრავს მის ოდენობას, რაც უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.<sup>24</sup> სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია განმარტოს და დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნევს პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ თანხად და მხოლოდ ამის შემდეგ, ძირითად შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით, შეამციროს იგი გონივრული ოდენობით.<sup>25</sup>

**როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მიჩნევის თუ მისი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ყოველთვის გამოდის პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციიდან.<sup>26</sup>**

პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს:<sup>27</sup>

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი<sup>28</sup>
- პირგასამტეხლოს მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე<sup>29</sup>

<sup>22</sup> სუსგ №ას-1031-992-2016

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2012 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება №ას-819-771-2012

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-988-1021-2011

<sup>25</sup> №ას-1451-1371-2017

<sup>26</sup> სუსგ №ას-848-814-2016; ას-176-157-2014; ას-1511-2018; ას-816-767-2015; ას-144-140-2016; ას-1199-1127-2015

<sup>27</sup> სუსგ №ას-1262-1182-2017; ას-654-620-2015; ას-753-721-2016.

<sup>28</sup> საქმეზე # ას-717-670-2017 ხელშეკრულებით შეთანხმებული პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 120% შეადგენდა, საკასაციო სასამართლომ შეუსაბამოდ ჩათვალა და მიიჩნია რომ აღნიშნული შეთანხმება არ გამოდინარეობდა კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი ბრუნვის სტაბილურობისა და მონაწილეთა თანასწორობის პრინციპიდან.

<sup>29</sup> იქვე

ლო პირგასამტეხლოს შემცირებისას, ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს:

- მხარის ქონებრივ/ფინანსურ მდგომარეობა;<sup>30</sup>
- თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა<sup>31</sup> პირგასამტეხლოს ოდენობასთან;<sup>31</sup>
- ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა;<sup>32</sup>
- ვალდებულების დამრღვევის ბრალეულობის ხარისხი;<sup>33</sup>
- ხელშეკრულების დარღვევის ხასიათს და იმ გარემოებას, თუ რა ფინანსური ზარალი განიცადა კრედიტორმა;<sup>34</sup>
- კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ;<sup>35</sup>

გარდა აღნიშნულისა, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლოსთვის განმსაზღვრელია ასევე კონტრაქტთა, როგორც ხელშეკმკვრელ პირთა სტატუსი. კერძოდ, 2017 წლის 23 მაისის #ას-1031-992-2016 გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ განმარტა: როდესაც საკითხი მეწარმე სუბიექტის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებას ეხება, მას ფიზიკური პირისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით უნდა მოეთხოვოს შეუსრულებელი ვალდებულების გამო მხარისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.<sup>36</sup>

ამასთან, 2017 წლის #ას-1451-1371-2017 გადაწყვეტილებით სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სუსტი მხარის ინტერესების დაცვა, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს. ამდენად, თუ

<sup>30</sup> სუსგ №ას-1210-1155-2013

<sup>31</sup> სუსგ №ას-708-678-2016;

<sup>32</sup> სუსგ №ას-654-620-2015

<sup>33</sup> სუსგ №ას-537-537-2018

<sup>34</sup> სუსგ №ას-459-438-2015

<sup>35</sup> სუსგ №ას-848-814-2016 პირგასამტეხლოს თანხის განსაზღვრისას საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ შესრულების ვადაგადაცილების შემდეგ მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულება შეწყდა, რაც ხაზს უსვამდა მხარის ინტერესს სადავო სამუშაოების დროულად შესრულებასთან დაკავშირებით და მოპასუხის მიმართ პასუხისმგებლობის მეტისმეტად შემცირებას გაუმართლებელს ხდიდა.

<sup>36</sup> სუსგ №ას-1031-992-2016



მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამეწარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მეწარმეა და ა.შ, ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.<sup>37</sup> განსახილველ შემთხვევაში, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე, რომელიც მეწარმე სუბიექტია, დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო შეუსაბამოდ მაღალი შეთანხმებული პირგასამტეხლო. მან არ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საკასაციო სასამართლოს დაარწმუნებდა სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაში. შესაბამისად, მეწარმე სუბიექტი სათანადო არგუმენტაციის არ არსებობის პირობებში მოკლებულია მოითხოვოს პირგასამტეხლოს შემცირება.<sup>38</sup> ამდენად, ბიზნეს სუბიექტის შემთხვევაში, სასამართლოს მოლოდინია ამ უკანასკნელმა დამაჯერებლად დაასაბუთოს ის გარემოებები, თუ რატომ იყო შეთანხმებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი.

---

<sup>37</sup> სუსგ №ას-1451-1371-2017

<sup>38</sup> იქვე

